



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: რაინდი როდონაია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

თინათინ სიბაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნინო გოგორელიანი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

სოფიკო სიუკაევა-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ფანცულაია-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

სოფიო გელაშვილი-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ანგელინა ეფრემიძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნატო კვეტენაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნინელი ცერცვაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭანტურიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ალექსანდრე ლაცაბიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	241572525

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ყვარელი, სოფელი წიწკანაანთსერი
ფაქტობრივი მისამართი	ყვარელი, სოფელი წიწკანაანთსერი
საფოსტო ინდექსი	4800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsitskanaantseri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 122 393

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N609630, 03/06/2024 ბრძანება.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	1-2 ივლისი, 2024 წელი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყვარელი, სოფელი წიწკანაანთსერი, 1 შენობა ნაგებობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარელი, სოფელი წიწკანაანთსერი, 1 შენობა ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2024 წლის 1-2 ივლისს შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლაში. ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციას და გამოითხოვეს დამატებითი მასალები. სკოლაში ადგილზე იმყოფებოდნენ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები რაინდი როდონაია და თინათინ სიბაშვილი. წინასწარ შეიმუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად ექსპერტები შეხვდნენ სკოლის წარმომადგენლებს და დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ კათედრის მასწავლებლებს ონლაინ, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალების გამოყენებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი გასაუბრებაზე დაესწრო შესაბამისი საგნების ექსპერტებს. შეხვდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს და გაესაუბრა სტანდარტიდან

გამომდინარე საკითხებზე. გასაუბრების შემდეგ აზრები შეაჯერა საგნობრივ ექსპერტებთან, რის შემდეგაც გააკეთეს ერთობლივი შეფასება. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის ბოლოს გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა დასკვნა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
 ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისობაში შეაფასა დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო მეტწილ შესაბამისობაში შეაფასა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შესაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	შევიდეს ცვლილება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში 10/09/2024წ.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის ან ლიფტის მოწყობა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 04/04/2026 წ.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის საგნობრივ კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 09/09/2024წ.
ინდიკატორი N2.1.2.1 N2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამის საგნობრივ კურიკულუმებში ცვლილებების შეტანა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 09/09/2024წ.
ინდიკატორი N 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა და მოწყობა სათანადო წესით შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 26/07/2025 წ.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.



ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	სასურველია შინაგანაწესიდან ამოღებულ იქნეს ის მუხლები, რომლებიც ეხება საშუალო საფეხურს.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა რჩევა: დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმში თემები დასაკორექტირებელია სტანდარტით განსაზღვრული თემების მიხედვით კურიკულუმში დაგეგმილი აქვთ სახელმძღვანელოს თავების მიხედვით. სახელმწიფო ენა რჩევა: კათედრას მიეცა რჩევა, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად შუალედური მიზნების შესრულების პროცესში მე-6 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადი ტექსტების გვერდით გამოკვეთილი იქნეს კონტექსტ მაგალითები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩევა: მე-2, მე-5, მე-6 კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი სავალდებულო თემები და საგნობრივი სამიზნე ცნებები სტანდარტის შესაბამისია, თუმცა პირველ, მე-3 და მე-4



		კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში- მათი რაოდენობა და სახელწოდებები დასაზუსტებელია სტანდარტთან მიმართებაში (მაგ: მე-3-ში უნდა იყოს თემები -ჩემი ქვეყნის ბუნება, მზის სისტემა მე-4 კლასში უნდა იყოს თემები- დედამიწა, ციკლური პროცესები. ცნებები 1-4 კლასებში საერთოა და უნდა იყოს იგივე ცნებები წარმოდგენილი, ასევე, თუ საკითხის დამუშავება იგეგმება კომპლექსური დავალებით-ჩარჩოში, „ცნება/ქვეცნებების“ გრაფაში ცნებებთან ერთად სასურველია ჩანდეს ცნების და საკითხის შესაბამისი ქვეცნებები, ხოლო კომპლექსური დავალების პირობის ქვეშ-„ხაზგასმით წარმოაჩინე“-ს თითოეულ კრიტერიუმთან მითითებული იყოს დასამუშავებელი ცნებების მკვიდრი წარმოდგენები,რაც ზოგიერთ შემთხვევაში არ ჩანს, მაგ:მე-2 კლასი-კომპლექსური დავალება „წყალქვეშა სამყაროს ფერადოვნება“) მე-5 და მე- 6 კლასების კომპლექსური დავალებებში წარმოდგენილი ცნებები დაზუსტდეს კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ და სტანდარტთან შესაბამისობაში მყოფ ცნებებთან მიმართებით(მაგ: მე-5 კლასის დავალება „კვებითი კავშირები“და მე-6 კლასის დავალება“დედამიწის ზედაპირზე სითბოსა და სინათლის არათანაბარი განაწილება“) მე-3 კლასის კომპლექსურ დავალებაში „დღე ღამის მონაცვლეობა“ ჩანს ძირითადი საკითხი-მზის სისტემა, რომელიც არ არის გამოკვეთილი კურიკულუმის ჩარჩოს შესაბამის გრაფაში (ჩანს მხოლოდ ქვესაკითხები), ასევე უმჯობესია ჩარჩოს იმავე გრაფაში, ერთმანეთისაგან გამიჯნულად და სრულყოფილად წარმოდგენილი იყოს სხვა ძირითადი საკითხებიც, მიუხედავად იმისა, იგეგმება თუ არა მათი დამუშავება კომპლექსური დავალებით, მკაფიოდ ჩანდეს, რომელი ძირითადი საკითხი რომელ ცნებებს ამუშავებს და ნათლად გამოჩნდეს მთლიანად თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება)
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული	რჩევა: დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმში მითითებულია რომ დამატებით რესურსად იყენებენ: ინტერნეტრესურსი www.kargi.skola.ge მათემატიკის ტესტები, მათემატიკის დამატებითი სავარჯიშოები; კარგი



	ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	იქნება თუ თითოეული თემის შესაბამის რესურსების სვეტში დააკონკრეტებენ რომელ დამხმარე რესურსს იყენებენ, რომ მარტივად შეძლონ რესურსის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. სასურველია გაამდიდრონ კურიკულუმები თემის შესაბამისად, ელექტრონული რესურსებით
ინდიკატორი N2.1.2.2	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა რჩევა: სასურველია დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმში კვირეული 4 საათის ნაცვლად გაწერონ ესგ-ს მიხედვით მოწოდებული სარეკომენდაციო საათობრივი ბადით განსაზღვრულ კვირეულ 5 საათზე (I და VI კლასის გარდა), მით უმეტეს რომ სკოლაში შექმნილი აქვთ კლასკომპლექტები. მათემატიკაში კვირეული 4 საათი დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას ხარისხიანად.
ინდიკატორი N2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩევა: უმჯობესია ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები ინახებოდეს ცალკე ოთახში (მაგ. საპრეპარატოროში), კარადებში, მუდმივად დაკეტილ მდგომარეობაში (მოსწავლეს მასთან არ უნდა ჰქონდეს წვდომა).
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკა რჩევა: წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსად შეიმუშაონ შეფასების რუბრიკები ყველა კლასში, რომელიც ეყრდნობა სტანდარტის თემების მიხედვით შედეგების მიღწევის ინდიკატორებს და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩევა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონკრეტული კონტექსტ მაგალითისთვის უმჯობესია გაიწეროს ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. სახელმწიფო ენა



		რჩევა: კათედრას მიეცა რჩევა, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ სადიაგნოსტიკო შეფასებები სახელმწიფო ენის მიმართულებით, რადგან, სასწავლო წლის დასაწყისში, ზაფხულის შემდგომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების კვლევა და ანალიზი გამოკვეთს სწორ ორიენტირებს, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა, რა აუცილებელი ქმედებები უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ გააქტიურდეს წინარე ცოდნა და შეიქმნას კარგი ბაზისი ახალი ცოდნის/ცოდნების ასაგებად. შემდეგ კი, სასწავლო წლის მეორე ნახევარში გადამოწმდეს მიღებული შედეგები სადიაგნოსტიკო ან სკრინინგ ტესტირებით. აღნიშნული შექმნის შესაძლებლობას მომდევნო წლის კურიკულუმებში ზუსტად გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის ის შედეგები, რაც მეტ ყურადღებასა და დამუშავებას მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილ იქნას საფეხურებრივი შედეგების მიღწევა
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები რჩევა უმჯობესია მე 3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გრაფა „ცნება/სამიზნე ცნება“ შეიცვალოს დასახელებით-„ცნება/ქვეცნებები“ და გრაფის შინაარსი განისაზღვროს სტანდარტის შესაბამისად. ასევე უმჯობესია გრაფა -„დავალების დასახელება“ შეიცვალოს სახელწოდებით-„ძირითადი კონტექსტ მაგალითით“ და ამ გრაფის შინაარსი ასახავდეს განსახილველი შემთხვევის მოკლე აღწერილობას სასურველია, მე-3 კლასის დავალების იდეა ფორმულირდეს ისე, რომ მასში ჩანდეს რა საკვანძო კითხვა/კითხვებზე პასუხები უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ და რა ფორმით, (წარმოდგენილი ფორმულირება უფრო ინსტრუქციაა, თუ როგორ უნდა შექმნან პროდუქტი-დიორამა) მე-3 კლასის ჩარჩოში, რესურსების გრაფაში, ყველა ძირითადი საკითხის გასწვრივ. სასურველია მითითებული იყოს დამხმარე რესურსების წყაროები და ელექტრონული მისამართებიც. სასურველია, დაწყებითი საფეხურის დანარჩენ კლასებში გათვალისწინებული იქნას მე-3 კლასის ჩარჩოს სტრუქტურა და



		აღნიშნული რჩევები. ასევე ცალკეულ კლასებში ჩარჩოს სრულყოფისათვის გამოყენებული იქნას განხორციელებული კომპლექსური დავალებები. (მაგ: I და II კლასების ჩარჩოების შესაბამის გრაფებში კომპონენტების შინაარსი გადმოტანილი იქნას ამავე კლასების კომპლექსური დავალებებიდან). რჩევა: საგან „ჩვენს საქართველოში“ კურიკულუმის ჩარჩო არაა მართებულად შევსებული, კერძოდ, ძირითადი კონტექსტ მაგალითის გრაფაში სახელმძღვანელოა მითითებული, მნიშვნელოვანია, საგნობრივი კურიკულუმი მოიცავდეს ყველა აუცილებელ კომპონენტს, რათა შედეგზე ორიენტირებულად წარიმართოს მუშაობის პროცესი.
ინდიკატორი N2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	ესთეტიკური აღზრდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას სასურველია სრულად იყოს გათვალისწინებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნები და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულად დაიგეგმოს მრავალფეროვანი აქტივობები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო რჩევა: საგნობრივ კურიკულუმში ნაკლებად ჩანს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. უმჯობესი იქნებოდა იკვეთებოდა დიფერენცირებული მიდგომის ელემენტები.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	ესთეტიკური აღზრდა საგნობრივი კურიკულუმები დატვირთულია მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტებით, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ვერ შეძლეს თემის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო მიზნების სრულად განხორციელება. სასურველია, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მომავალი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესი დაიგეგმოს რეალისტურად მოსწავლის/ სკოლის საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით (მაგ. ყველა თემაში გაწერილია კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელება ვერ შეძლეს მასწავლებლებმა, მომავალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია მიღებული გამოცდილება).



		სასურველია ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) არაფორმალური განათლების მიმართულებით უფრო მეტი აქტივობა დაიგეგმოს სასურველია ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) შემაჯამებელი დავალების პირობა ორიენტირებული იყოს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე, წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებებში ძირითადი აქცენტი ფაქტობრივ ცოდნაზე კეთდება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნის დიაგნოსტიკას.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	რჩევა სკოლას ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თუმცა სასურველია, თემის ფარგლებში შემუშავდეს კონკრეტული შეფასების რუბრიკა საკითხთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
ინდიკატორი N2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა რჩევა: სასურველია დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმში (I და VI კლასის გარდა), მითითებული წლიური 140 სთ-ის ნაცვლად, გაწერონ ესგ-ს სარეკომენდაციო საათობრივი ბადის მიხედვით განსაზღვრულ წლიურ 176 სთ-ზე, რომ შეძლონ საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხარისხიანად. სახელმწიფო ენა რჩევა: კარგი იქნება, თუ მასწავლებლები კურიკულუმში შეიტანებენ ისეთ აქტივობებს, რომლებიც თამაშით სწავლებაზე იქნება ორიენტირებული: მაგალითად: „ასო-ბგერების ლოტო“, „აფრინდა-აფრინდა“, „ჩაიფიქრე სიტყვა“
ინდიკატორი N2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით	სახელმწიფო ენა რჩევა: კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად სხვადასხვა თემის ფარგლებში უმჯობესია გამოყენებული იქნას სხვადასხვა ტიპის, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, როგორებიცაა, ელექტრონული ონლაინ რესურსები, საგანმანათლებლო პორტალები, პოსტერები, სქემები, და სხვა.



	განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზგადოებრივი მეცნიერებები რჩევა: მართალია, სკოლამ გადმოაგზავნა შეფასების რუბრიკები, მაგრამ ისინი ნაკლებადაა მიმართული სამიზნე ცნებებზე, ზოგადია. უმჯობესი იქნება, თუ ამ საკითხებს გაითვალისწინებენ პედაგოგები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	მათემატიკა რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში გაწერილი იყოს -მაგალითები შედარებისთვის. გთხოვთ დაამატოთ შესაბამისი სვეტი კურიკულუმის ფორმაში.
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი	მათემატიკა რჩევა: სასურველია რესურსებში მივუთითოთ სახელმძღვანელოს გვერდები, რომელზედაც მოცემული თემა მდებარეობს. ასევე მივუთითოთ დაზუსტებული -თემის შესაბამისი ვიდეოგაკვეთილის ან ელექტრონული ტესტის მოქმედი ელექტრონული ბმულები, რომ მარტივად შეძლონ დამხმარე რესურსის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	მათემატიკა რჩევა: სასურველია დააკორექტირონ VII კლასის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მერვე და მეცხრე კლასში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მსგავსად სტანდარტის თემების მიხედვით შეიმუშაონ VII და IX კლასის განსაზღვრული შეფასების რუბრიკები მათემატიკის სტანდარტით განსაზღვრული თემებისთვის, რომელიც ეყრდნობა შედეგების მიღწევით ინდიკატორებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები



		რჩევა- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ძირითადი საკითხისათვის უმჯობესია გაიწეროს სამიზნე ცნებების მიხედვით დაჯგუფებულ კრიტერიუმებით-(იგივე საკითხში დაკონკრეტებული თემატურ ინდიკატორებით)
ინდიკატორი N2.1.2.1	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	საზოგადოებრივი მეცნიერებები საგნობრივი კურიკულუმების ველები ნაწილობრივია შევსებული, ბუნდოვანია, მაგალითად, „თემი, რომელშიც ვცხოვრობ, მუშავდება თუ არა ყველა სამიზნე ცნება, რადგან საკითხთა კლასტერი ყველა სამიზნე ცნებაზე არ არის მისადაგებული. გარდა ამისა, ძირითად კონტექსტ მაგალითად მითითებულია, უმეტეს შემთხვევაში, სახელმძღვანელო, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვიფიქროთ, კურიკულუმი არ მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს.
ინდიკატორი N2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	ესთეტიკური აღზრდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას სასურველია სრულად იყოს გათვალისწინებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნები და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულად დაიგეგმოს მრავალფეროვანი აქტივობები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევა: დოკუმენტების შესწავლისას არ გამოვლინდა დიფერენცირებული სწავლება. მხოლოდ 1 ან 2 კომპლექსური მუშავდება და მოწოდებულ მასალაზე დაყრდნობით ძნელია იფიქრო, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. კარგი იქნებოდა, კონტექსტ მაგალითებსა და მაგალითებს შედარებისთვის თუ გამოიყენებდა, ასე მეტად გაუადვილებდა მოსწავლეებს სასწავლო პროცესს.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	ესთეტიკური აღზრდა საგნობრივი კურიკულუმები დატვირთულია მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტებით, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ვერ შეძლეს თემის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო მიზნების სრულად განხორციელება. სასურველია, ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მომავალი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესი დაიგეგმოს რეალისტურად მოსწავლის/ სკოლის



		საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით (მაგ. ყველა თემაში გაწერილია კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელება ვერ შეძლეს მასწავლებლებმა, მომავალი წლის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია მიღებული გამოცდილება). სასურველია ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) არაფორმალური განათლების მიმართულებით უფრო მეტი აქტივობა დაიგეგმოს სასურველია ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) შემაჯამებელი დავალების პირობა ორიენტირებული იყოს პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე, წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებებში ძირითადი აქცენტი აქტობრივ ცოდნაზე კეთდება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის ცდონის დიაგნოსტიკას. სკოლას წარმოდგენილი აქვს ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმი (პირველი სემესტრის შეჯამება) განხილული სასწავლო პროცესის შედეგების შესაბამისად დაგეგმილი აქტივობები მეორე სემესტრში ნაწილობრივადაა განხორციელებული, მაგალითად ოქმის თანამხად დაიგეგმა დიაგნოსტიკური წერები, თუმცა ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა რომ მსგავსი დიაგნოსტიკა არ განხორციელებულა ესთეტიკური კათედრის მიმართულებით. სასურველია უფრო დეტალურად მოხდეს სასწავლო პროცესის შეფასება და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.
ინდიკატორი N2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	ესთეტიკური აღზრდა სასკოლო სასწავლო გეგმაში საბაზო საფეხურზე (VIII, IX კლასები) სახვით და გამოყენებითი ხელოვნებას ორივე სემესტრში ეთმობა ერთი საათი, ხოლო მუსიკას ორი საათი. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია აღნიშნული საათობრივი დატვირთვა, თუმცა გაწერილი სასწავლო მიზნები (თემა/საკითხი,სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი პროდუქტი, საგნობრივი საკითხები) სრულყოფილი დამუშავება რთული იქნება. სასურველია მომდევნო სასწავლო წელს გადაიხედოს ესთეტიკური აღზრდის კათედრის საათობრივი ბადა. სახელმწიფო ენა რჩევა: სასურველია, მე-7 კლასში საგნობრივ კურიკულუმში ყველა თემის ფარგლებში დაიფაროს სამიზნე ცნება „გრამატიკა“.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო	რჩევა: სკოლას ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა სასურველია, თემის ფარგლებში შემუშავდეს



	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	კონკრეტული შეფასების რუბრიკა საკითხთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სახელმწიფო ენა რჩევა: კათედრას მიეცა რჩევა, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ სადიაგნოსტიკო შეფასებები სახელმწიფო ენის მიმართულებით, რადგან, სასწავლო წლის დასაწყისში, ზაფხულის შემდგომ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების კვლევა და ანალიზი გამოკვეთს სწორ ორიენტირებს, თუ რა მიმართულებით უნდა წარმართონ მუშაობა, რა აუცილებელი ქმედებები უნდა განახორციელონ იმისათვის, რომ გააქტიურდეს წინარე ცოდნა და შეიქმნას კარგი ბაზისი ახალი ცოდნის/ცოდნების ასაგებად. შემდეგ კი, სასწავლო წლის მეორე ნახევარში გადამოწმდეს მიღებული შედეგები სადიაგნოსტიკო ან სკრინინგ ტესტირებით. აღნიშნული შექმნის შესაძლებლობას მომდევნო წლის კურიკულუმებში ზუსტად გაიწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის ის შედეგები, რაც მეტ ყურადღებასა და დამუშავებას მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილ იქნას საფეხურებრივი შედეგების მიღწევა. საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევა: მართალია, სკოლამ გადმოაგზავნა შეფასების რუბრიკები, მაგრამ ისინი ნაკლებადაა მიმართული სამიზნე ცნებებზე, ზოგადია.
ინდიკატორი N2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სახელმწიფო ენა რჩევა: კარგი იქნება მასწავლებლები კურიკულუმებში თუ შეიტანენ ისეთ რესურსებს, როგორებიც ხელს შეუწყობს ტექსტის გაგება-გააზრების უნარების განვითარებას, მაგალითად: სქემები და დიაგრამები, პერსონაჟის რუკა და ა.შ.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური	სახელმწიფო ენა რჩევა: კათედრას მიეცა რჩევა, მე-7 კლასში კურიკულუმის ჩარჩოთი განსაზღვრულ ყველა კომპლექსურ დავალებაზე შეიქმნას და გამოყენებული იქნას ამ დავალების პირობის რელევანტური შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N2.1.2.2	სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული	რჩევა: სასურველია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი კვირეული 4 საათის ნაცვლად გაწერონ ესგ-ს მიხედვით მოწოდებული სარეკომენდაციო საათობრივი ბადით განსაზღვრულ კვირეულ 5 საათზე



	განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	მით უმეტეს რომ სკოლაში შექმნილი აქვთ კლასკომპლექტები. მათემატიკაში კვირეული 4 საათი დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას ხარისხიანად, რაც ასახულია კიდევაც წარმოდგენილი შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმაში: მერვე კლასის მოსწავლეთა საშუალო ქულა შემაჯამებლებში არის 6,2; 5,8; 5,4.
ინდიკატორი N2.1.2.2	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის ჯამური საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას	რჩევა: სასურველია დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმში მითითებული წლიური 140 სთ-ის ნაცვლად, გაწერონ ესგ-ს სარეკომენდაციო საათობრივი ბადის მიხედვით განსაზღვრულ წლიურ 176 სთ-ზე, რომ შეძლონ საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული თემის/საკითხის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხარისხიანად.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა ექსპერტთა მხრიდან დაფიქსირებულ ყველა ხარვეზთან მიმართებით. გეგმაში გაწერილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები, გათვალისწინებულია რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილება



ასახა დასკვნაში. სტანდარტის შესაბამისად რიგი კომპონენტებისა სრულად შესაბამისად, რიგი კომპონენტებისა კი მეტწილად შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომლის შესაბამისად სკოლის მისიას აღზარდოს ტოლერანტი, კრიტიკულად მოაზროვნე, კომუნიკაბელური, კანონმორჩილი, სამოქალაქო ცნობიერების მქონე თაობა, რომელსაც ექნება არა მარტო ხარისხიანი განათლება, არამედ პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრისა და ჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოში თავის დამკვიდრების უნარი. სკოლის ხედვაა მოსწავლეებსა და თანამშრომლებს შესთავაზოს უსაფრთხო, მეგობრული გარემო, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრები თავს იგრძნობენ დაცულად და უზრუნველყოფილი იქნებიან თანამშრომლობითი, კონკურენტული გარემოთი, სადაც პატივს სცემენ განსხვავებულ აზრს და ინოვაციურ იდეებს. სკოლა იზრუნებს თითოეული მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ განვითარებაზე და ხელს შეუწყობს მათ ჩამოყალიბებას საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, შესაბამისად, ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მისიაა მომავალ თაობას განუვითაროს კრიტიკული აზროვნება, ორიენტირებული იყოს პიროვნულ განვითარებაზე და აღზარდოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღები ინდივიდი, რომელსაც ექნება არამარტო ხარისხიანი განათლება, არამედ პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრისა და ჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოში თავის დამკვიდრების უნარი. სკოლის ხედვა დაფუძნებულია პრინციპზე, რომ იყოს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული, იზრუნოს თითოეული მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ განვითარებაზე და ხელი შეუწყოს მათ ჩამოყალიბებას საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. ასევე სკოლა მოსწავლეებსა და თანამშრომლებს სთავაზობს უსაფრთხო, მეგობრულ გარემოს, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრები თავს გრძნობენ დაცულად და მხარში უდგანან ერთმანეთს, რაც გვიჩვენებს, რომ სკოლის მიზანია იყოს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სივრცე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან. აღნიშნულმა ჯგუფმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, კითხვარის საშუალებით გამოიკითხა სასკოლო საზოგადოება და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი, რომელიც შემდეგ წარედგინა შესათანხმებლად სკოლის სამეურვეო საბჭოს და დასამტკიცებლად პედაგოგიურ საბჭოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი მუშაობდა სკოლის ფილოსოფიის შექმნაზე და სასკოლო საზოგადოების წევრების აზრების ურთიერთშეჯერებით მიღებულ იქნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტი, რომელიც შემდეგ სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ფეისბუქის გვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს საშუალება, რომ გაეცნოს მას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლის სახელწოდება „სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერის საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია

ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნაზე

სამუშაო ჯგუფის ოქმი სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე

კითხვარი

სამეურვეო საბჭოს ოქმი

პედაგოგიური საბჭოს ოქმი

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) და სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების ზოგადი მიდგომების, მოთხოვნებისა და სამუშაო პროცესის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიულ განვითარებაზე მომუშავე ჯგუფი, სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპები და შესრულების მონიტორინგი. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმარების ძირითადი პრინციპებია: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. მასში განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი შვიდი წლის განმავლობაში, ასევე შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების დრო. სტრატეგიულ გეგმაში

განსაზღვრული აქტივობები მოიცავს 2023-2030 წლების პერიოდს და გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან (მისია, ხედვა, ღირებულებები). ის შეიცავს მისიასთან თავსებად 7 მიზანს, როგორცაა, მაგალითად, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა. თავის მხრივ, თითოეული სტრატეგიული მიმართულება იყოფა ამოცანებად, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლამ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე განიხილა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შემდეგ დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაზე და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებული აქტივობების ჩამონათვალს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს, გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფა არის რეალისტური. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

პედაგოგიური საბჭოს ოქმები

სამეურვეო საბჭოს ოქმები

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების საფუძველზე. ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება 3 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-13 მუხლის თანახმად, მას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო, ხოლო სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N2-15, 11/03/2024 ბრძანებით. სკოლამ არგუმენტირებულ დასაბუთებაში აღნიშნა, რომ 2024 წლის 10 სექტემბრამდე სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განახორციელებს ცვლილებას კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი. ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.
2. ვერ ფასდება, რადგან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.
3. ვერ ფასდება, რადგან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

4. ვერ ფასდება, რადგან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანანანთსერის საჯარო სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, კათედრებს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. სკოლის დირექტორის ბრძანებით და მტკიცებულია „სტრუქტურული

ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა“, სადაც დეტალურად გაწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. სკოლაში მოქმედი პირების ფუნქციები ასევე გაწერილია სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები გადანაწილებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში. სკოლის დირექციის განმარტებით, სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობები და პასუხისმგებლობა განაწილებულია ურთიერთთანამშრომლობის გზით. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოსა და კათედრების ოქმები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს, რაც ხელს უწყობს სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურა

სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა

შრომითი ხელშეკრულებები

პედსაბჭოს ოქმები

სამეურვეო საბჭოს ოქმები

კათედრის ოქმები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სკოლის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. შინაგანაწესის, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აწერა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც დადგენილია სკოლის მიერ, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მასწავლებლის ვალდებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის გაცდენისას ჩაატაროს მისი გაკვეთილები შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მასწავლებელი, რომელიც რეგისტრირებულია მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტრაციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში. მასწავლებლების მხრიდან გაცდენები იშვიათია, მაგრამ გაცდენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება ფუნქციების შეთავსების კუთხით. სკოლის დირექტორით განმარტებით ფუნქციების დროული გადანაწილებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სკოლის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით და სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს შეფასების

სისტემისა და ანალიზის საფუძველზე, რაც ეხმარება მას თანამშრომელთა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში, ძირითადი საჭიროებების განსაზღვრაში და შემდგომში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში, კერძოდ: ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე pedagogi.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. კანდიდატურა ირჩევა კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება შიდა ან ღია კონკურსების ჩატარების წესი და პროცედურები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებს. სკოლაში დასაქმებულია 17 მასწავლებელი, აქედან 15 უფროსი, 1 წამყვანი და 1 მენტორი, 2 სპეციალური მასწავლებელი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექთანი, 2 დარაჯი, დამლაგებელი. მასწავლებლებთან და სკოლის პერსონალთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ყველა დასაქმებულის პირად საქმეში იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ცნობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კათედრები ერთობლივად ქმნიან კურიკულუმებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხს და ისახავენ მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლაში ნებისმიერი თანამშრომლის პროფესიული წარმატება განიხილება კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები სკოლის შინაგანაწესის მიხედვით: მაღლობის გამოცხადება, სიგელები, ფულადი წახალისება და სხვ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მასწავლებლები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, კონკურსებში, თუ კონფერენციებში. სკოლაში დაბრუნების შემდეგ კოლეგებს კათედრაზე უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და მიღებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა

შრომითი ხელშეკრულებები

კონკურსის გამოცხადების ბრძანებები

კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომელიც გაწერილია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, რომლის მიხედვით სკოლა ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ანალიზის საფუძველზე და შემდგომში გეგმავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს. შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში, ავლენს დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ვერ ფასდება, რადგან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში; ერთვება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში; უზრუნველყოფს მასწავლებელთა

მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; სკოლის მხარდაჭერით და ხელშეწყობით გასულ სასწავლო წელს ორმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხებს, რომელიც შედგება სხვადასხვა ეტაპებისა და აქტივობებისგან, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას, სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა დასაქმებულს აცნობს სკოლის კოლექტივს, შიდა რეგულაციებს, შინაგანაწესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა წახალისებს ღონისძიებებს ახორციელებს ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. განხორციელებული ვიზიტისას ნათელი გახდა, რომ სკოლაში თანამშრომლური და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობებია, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ ნებისმიერი იდეა და ინიციატივა, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდას, ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები., გაკვეთილზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების მონაცემები, კოლეგების შეხვედრები ადასტურებს, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება

ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი

ცნობა ტრენინგის გავლის შესახებ ტუტორის განსაზღვრის ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, დანერგვას, მონიტორინგსა და შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შეფასდება გარე შემფასებლის მიერ. ასევე გაწერილია როგორ მოხდება შეფასება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. ამდენად, სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელთა იდენტიფიცირება და აღწერა ხდება სკოლის შემდეგ სამართლებრივ დოკუმენტებში: სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შინაგანაწესი, სასკოლო კურიკულუმი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტებში სტრუქტურულ ერთეულებსა და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების განაწილება უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. ამის მისაღწევად სკოლას შეიმუშავებული აქვს საჩივრების მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი განხილვის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- წამოჭრილი პრობლემის არაფორმალური მოგვარების მხარდაჭერა;

- საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა;
- საჩივრების პროცედურების სიმარტივე;
- გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის ფარგლები საჩივრის განხილვის/გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის;
- საჩივრით წამოჭრილი საკითხების სამართლიანი, სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გამოძიება და გადაწყვეტა.

ეს წესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე, მათ მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ პირზე, ვისაც სურს განცხადებით/საჩივრით მიმართოს სკოლას. წესში აღწერილია რა პროცედურით უნდა მოხდეს განცხადების/საჩივრის წარდგენა, რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს განცხადება/საჩივარი, განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და ვადები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე სკოლაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა

გასაჩივრების დეტალური პროცედურები

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

შრომითი ხელშეკრულებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მართვის პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით. შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. ინფორმაციის მიღება ასევე შესაძლებელია სკოლის საჯარო სივრცეში, სადაც განთავსებულია ყველა ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, რომლებზეც მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტების, ღონისძიებებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები, არის: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის მიერ უზრუნველყოფილია, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ამ ორგანოების საქმიანობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებგვერდი

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი

მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება

მრჩეველთა საბჭოს ოქმები

მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეხვედრებზე გასცემს რეკომენდაციებს სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით. ვინაიდან სკოლას არ ჰყავს მანდატური, ბრძანებით განსაზღვრულია სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი სერთიფიკატი. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, რაც შესაძლებლობას იძლევა დროულად მოხდეს საფრთხის შემცველი ქმედებაზე რეაგირება. სკოლას ასევე ჰყავს ორი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის დაცვას. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა, სკოლის შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია. სკოლას აქვს გაგზავნილი მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული, შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. ასევე სკოლას არ ჰქონდა მიღებული აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული), თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დასკვნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. დასკვნის თანახმად: „შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. არსებული მონაცემებით შენობის ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველი“. სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **ინდიკატორი შესაბამისობაში სტანდარტთან.**

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. კონკურსის წესით შერჩეული ჰყავთ ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველსაყოფად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე მოსწავლეებს ეკრძალებათ სკოლის დატოვება. კონტროლდება უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალის საშუალებით. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეხვედრებზე გასცემს რეკომენდაციებს სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით და იღებს სკოლის დირექტორის ანგარიშს გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიების გატარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შესაბამისად ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭოც, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ქმედით ნაბიჯებს და მონიტორინგს უწევს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. მრჩეველთა საბჭო აქტიურად თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან და გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს და ღონისძიებებს. სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ზრდას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლას ჰყავს კონკურსის წესით შერჩეული ექთანი, რომელიც მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად პასუხისმგებელია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე და ახორციელებს მონიტორინგს. სკოლას ჰყავს დამლაგებელი, რომელიც პასუხისმგებელია სისუფთავის დაცვაზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. სკოლას აქვს შეძენილი სანიტარული-ჰიგიენური საშუალებები და ახორციელებს მის მიზნობრივ და რაციონალურ გამოყენებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც განსაზღვრული არიან პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. მოსწავლეთა და

სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. სისტემატურად ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონტორინგი, მოსწავლეებთან და სკოლის პერსონალთან ტარდება შეხვედრები, მათ აცნობენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესს, პრინციპებს და მის მნიშვნელობას. სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ერთი მუხლი ეთმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების შესახებ ინფორმაციას. სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. არ ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

8. სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება

სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა

მიმართვა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

ექთანის შრომითი ხელშეკრულება

უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი

ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანანთსერის საჯარო სკოლა მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანანთსერში. სკოლის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით გადაცემული აქვს 10972.00 კვ.მ საერთო ფართობით. სკოლის შენობა არის 1982 წელს აშენებული, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2011 წელს. სკოლა არის ორსართულიანი, 11 საკლასო ოთახით, აქვს სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, ისტ-ის კაბინეტი, მოწესრიგებული და ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლას გააჩნია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი: მოსწავლის მერხი და სკამი, დაფა, კომპიუტერული ტექნიკა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. კომპიუტერი და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახში. სკოლას აქვს შიდა და გარე სპორტული დარბაზები, სკოლას გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, სადაც არსებობს სამკითხველო დარბაზი. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა

ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომელთათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებული და დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებით სარგებლობისა და გამოყენების, აგრეთვე ბიბლიოთეკაში ქცევის წესი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნად ფონდზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, რომელიც დადგენილი წესით აღრიცხავს წიგნებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს. შესაბამისად, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება დადგენილი წესის მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას ჰყავს 8 სსსმ მოსწავლე, რომელთა საჭიროებების შესაბამისად, სასკოლო სივრცეში წარმოდგენილია რესურსოთახი, 2 სპეციალური მასწავლებელი. სკოლას გააჩნია მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილები, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, თუმცა სკოლას არ აქვს მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსი. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და ითხოვა ფინანსური დახმარება მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის ან ლიფტის მოსაწყობად, რათა შშმ პირმა დაუბრკოლებლად შეძლოს სასკოლო სივრცეში გადაადგილება და სასურველი სერვისების მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით, სკოლას არ ჰყავს შშმ პირი. სკოლას მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის თარიღად მითითებულია 04/04/2026 წელი. **ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს შეხვედრების ან ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რომელშიც ტარდება სპორტული აქტივობები, სააქტო დარბაზში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები მოსწავლეების მონაწილეობით, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით, ასევე, სკოლას აქვს ეზოში ღია სპორტული მოედანი, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

ბრძანება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;

სკოლის წერილი ინფრასტრუქტურის სააგენტოს პანდუსის ან ლიფტის მოსაწყობად

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სულ სკოლას აქვს 19 ლეპტოპი, 4 პერსონალური კომპიუტერი, 5 პროექტორი და პრინტერები. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუებითაც. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება აქვთ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით, როგორც საგაკვეთილო ასევე არასაგაკვეთილო პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის რესურსების ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისათვის, სკოლის პერსონალისათვის, რაც ხელს უწყობს სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საინვენტარო აღწერილობა

ციფრული განვითარების გეგმა

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

წერილი ინფრასტრუქტურას

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზაციულ სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირებას, ბრძანებების გამოცემისა და მათი აღრიცხვის წესს, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს, დოკუმენტების შედგენას, გაფორმებას, დავალებების შესრულების კონტროლს და გაგზავნას, ინფორმაციის გაცემის წესს, დოკუმენტების შენახვის წესს. დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) საშუალებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში შემოსული წერილები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFlow) საშუალებით. საქმისმწარმოებლის მიერ ხორციელდება ყველა სახის დოკუმენტის მომზადება და გაშვება შესაბამის მისამართზე. დაცულია ყველა სახის დოკუმენტის მომზადებისა და გაცემის წესი, მათ შორის, ბრძანებების, წერილების, ოქმების, ხელშეკრულებებისა და სხვ . ასევე, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, რომლითაც სკოლა ასევე ახორციელებს წერილების მიღებასა და გაგზავნას. სკოლა იყენებს email.mes.gov.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ყველა საჭირო ინფორმაცია სრულყოფილად ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადის

დაცვით, რაც დადასტურდა სკოლის ბაზის დათვალიერების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დროულად იღებს და გასცემს ინფორმაციებს, აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმა და დროულად აგზავნის ამ უწყებებთან ანგარიშებს, კერძოდ, 10 დეკემბრამდე ანგარიშის წარდგენა პრეზიდენტისთვის, პრემიერ მინისტრისა და პარალამენტის თავმჯდომარისთვის, ანგარიშის საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნება, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ანგარიში

საჯარო ინფორმაციის წარდგენა

საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. დირექტორის განცხადებით, სკოლა მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებენ აგრეთვე facebook გვერდს, მესენჯერს, თიმსის პლატფორმასა და ელექტრონულ ჟურნალს. შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის/კომინიკაციის წესი, სადაც ჩამოთვლილია მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზები: მშობელთა კრებები, ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, ინდივიდუალური შეხვედრები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის იყენებს ვებგვერდს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს ძირითადად დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3. დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს, მათ შორის სკოლის დახურული სოციალური ქსელებიდან, თიმსის პლატფორმაზე, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვებს მოსწავლეებსა და მშობლებში. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ყველა სავალდებულო ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, შინაგანაწესი, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ბიუჯეტი, საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

ვებგვერდი

ფეისბუქი გვერდი

შეფასება:

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების ბრძანება, სადაც კანონმდებლობის შესაბამისადაა აღწერილი სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა; დამტკიცებულია წლიური შესყიდვების გეგმა და ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილია საჭირო ნივთების შესყიდვისთვის სამსახურებრივი ბარათები. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტს გეგმავს წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით. კლასკომპლექტების შექმნით, სპორტის გაკვეთილების გაერთიანებით, ერთ დამრიგებელზე რამდენიმე კლასის მიმაგრებით ხდება სკოლის ფინანსების დაზოგვა და საჭირო მიმართულებით წარმართვა. სკოლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა დგება წინა წლების გამოცდილების გაზიარებით. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. სკოლის ბიუჯეტზე გათვალისწინებით, სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენს სკოლის დირექტორი და ბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა, კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს

2024 წლის ბიუჯეტი

შესყიდვების განხორციელების წესი

მოხსენებითი ბარათი ბაზრის კვლევაზე

10 დეკემბრის ანგარიშები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები, რომელიც თითოეულ დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თუ ვის და როგორ შეუძლია შემოიტანოს განაცხადი/საჩივარი, რომელი სტრუქტურული ერთეულია უფლებამოსილი განიხილოს განცხადება/საჩივარი და რა ვადებია ამისათვის განსაზღვრული. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს აგრეთვე სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში, შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ხელშეკრულებები, სადაც ერთი მუხლი ეთმობა პერსონალური მონაცემების დაცვას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. ასევე შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. სკოლა უქმნის ყველა მოსწავლეს პირობებს, რომ მათი უფლებები იყოს დაცული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალური გეგმებით და უზრუნველყოფენ მათ უფლებებს მიიღონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლება. აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში არის მუხლები, რომელიც შეეხება საშუალო საფეხურის მოსწავლის გარიცხვას სკოლიდან. ვინაიდან სკოლა არის საბაზო საფეხურის, სასურველია შინაგანაწესიდან ამოღებულ იქნეს ის მუხლები, რომლებიც ეხება საშუალო საფეხურს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საჯარო სივრცეში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას და გამოქვეყნებულია ვებგვერდზე, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მოსწავლის გადმოყვანისა ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში ადმინისტრაცია მშობელებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე, ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

გასაჩივრების დეტალური პროცედურები

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი

მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმი

შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებების შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, განათლების აღიარების, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების თუ შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს ახორციელებს კანონის შესაბამისად, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით. სკოლა მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ემისის ბაზის შემოწმების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია ვებ გვერდზე, სკოლის სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე, სადაც მშობლებს შეუძლიათ გაიგონ სიახლეები, გააკეთონ კომენტარები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. მოსწავლის

მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლა აქტიურად მუშაობს ფეისბუქ გვერდზე და ავრცელებს სიახლეებსა და მიმდინარე ღონისძიებებს, მშობლებთან ურთიერთობს ასევე დამრიგებლების მეშვეობით, ინფორმაციის გავრცელების წყაროდ ასევე გამოყენებულია საინფორმაციო დაფა, გავრცელებული ინფორმაციები კი არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, რასაც ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტები, ფოტოები, ვიდეოები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა ყველა მოსწავლისთვის ხდის მისაწვდომს არსებულ პროგრამებს, სერვისებს, აქტივობებსა და რესურსებს. სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი

შინაგანაწესი

ვებგვერდი

სკოლის ფეისბუქ გვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმაჯობებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, სადაც გათვალისწინებულია პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრული ღონისძიებები, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაცია. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს მრავალფეროვან სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, იგეგმება ვიზიტი სკოლაში, ათვალიერებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, დამრიგებელი აცნობს მათ სკოლის სპეციფიკას და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეს ექმნება ყველანაირი პირობა, რათა მისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ახალ გარემოში ყოფნა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (სააქტო დარბაზის, შიდა და გარე სპორტული დარბაზების, კაბინეტების, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას), სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო პროექტებით, დამატებითი მეცადინეობებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრები მუდმივად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი ხელს უწყობს დირექციასთან ერთად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. **ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია სემესტრული გამოცდები, თუ მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მას უფლება აქვს სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება. თუმცა ამგვარი გამოცდა სკოლაში არ ჩატარებულა. სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები. სკოლაში ყოველთვის წახალისებულია გასვლითი გაკვეთილები, ღონისძიებები, ექსკურსიები. დირექტორის განცხადებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სკოლაში არ არსებობს საშუალო საფეხური და მოსწავლეთა რაოდენობა საბაზო საფეხურზე მცირეა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების გასათვალისწინებლად, სკოლაში ტარდება გამოკითხვები, რომლის შედეგებიდან გამომდინარე სკოლა ითვალისწინებს მათ აზრებს და ცდილობს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. ტარდება მშობელთა კრებები, სადაც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ მათი შვილებისთვის საინტერესო ინიციატივები. სკოლა მაქსიმალურად გაითვალისწინა მოსწავლეთა/მშობელთა ინტერესები მეორე უცხო ენის არჩევისას, აგრეთვე მოსწავლეებს შესთავაზა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენის სწავლება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები

მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები

მშობლებთან შეხვედრის ოქმი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

